

F 24
1988

თ ე ა ტ რ ი

საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საბჭო

საყოველ-კვირად. სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1888 წელსა

№ 30

პარიკაპოპისთვის 28.

საბჭო

გაზეთი ღირს: ერთის წლ. 5 მ.,
ნახევ. წლ. 3 მ., ცალკე № 15 კ.
წელიწადში მოწერაში მიიღება:
თბილისში, რედაქციის კანტორაში.
ფოთში ბესარიონ კალანდაძესთან.
ადრესი გარეშე მცხოვრებთათვის:
Тифлиси, въ редакцію газеты
"ТЕАТРЪ". გაზეთი ისყიდე-
ბა: თბილისში, ჩარკვიანის წიგ-
ნის მაღაზიაში; და ბ-ნ ხიდდეკელ-
თან — გოლოვინის პრესპექტზე.

საგაზეთოდ დანიშნული წერი-
ლები (კორექსპონდენცია) გარკვე-
ვით უნდა იყოს დაწერილი. თუ სა-
ჭიროება მოითხოვს წერილებს რე-
დაქცია შეასწორებს. რედაქცია არა
კისრულობს წერილების უკან გაგ-
ზავანას და მათ შესახებ მიწერ-
აოწერას.

ყოველ წერილში უნდა იყოს
მოსენებელი: სახელი, გვარი და
საცხოვრებელი ადგილი დაწერილად.



ახალი ამბები

F-66

მუხრანთან ხილთან რომ ნავი (პარამი) დადის ძალიან სა-
შიშია. ნავის ძირი დაძველებულია, წყალი შედის ნავში. მუშა
ჰყავთ დაყენებული და ჯამითა ჰლოვრის წყალს. შეიძლება უბე-
დურება მოხდეს, თუ ყურს არ უვდებს პოლიცია და ნავის ძირს
არ გამოაცვლენენებინებს.

— როგორც ბეერს მოეხსენება კულა გლდანელმა გაითქვა
ქიდაობაში სახელი არა იმდენი ნამდვილი სიყოფილით, რამდენ-
იც ეშმაკობით, მოქიდავეების მოყიდვით, ვიწრო ჩოხის ჩაცმით
და მკლავებზე და სხეულზე ქონის და ერბოს წასმით...

ამ წინაზე ნესტორ ესებუამ გამოითხოვა ეს მოკადავე და
ისე შეარტყინა, როგორც ჯერ არც ერთი ფალაფანი არ შეარ-
ტყენილა: ისე დაზილა, დაჯმუჯნა, როგორც უსენია მექისეც
კი ეერა ჰზელს მობანავეთ. და ამ შეარტყენის შემდეგ გაიტყაზნა
ღელამიწაზე. ამის გამო დაიბეჭდა ლექსი: „კულა გლდანელი

და ნესტორ ესებუა. მესტირული ლექსი თქმული ონელი მესტირისი“. ამ ლექსში არის აღწერილი ამ ორის ფალანგის კილილი და ესებუასაგან ასე სამარცხენ.ოდ დამარცხება გაყვი-ნიზებული გლდანელისა. ლექსი მშვენიერია.

— ბანკის თეატრის გადაკეთებას ათაეებენ და რუსული დასის ანტრეპრენიორი ბ. ფორკატციც ჩამოვიდა თბილისში. როგორც ნამდვილად შეეცყეთ ბანკის თეატრში წარმოდგენები დაიწყება ენკენისთვის ხუთმეტს. ჩვენი საზოგადოების კამიტეტის დასი დაიწყებს, როგორც გვესმის, ჩეიდშეტს ან თერამეტს ენკენისთვისას. შს-ს ამ თვეს მოიტანეს ელექტრონის მაშინა ბანკის თეატრისათვის. იმედია, რომ წარსული სეზონისათვის არ იმტყუნებს ელექტრონული სინათლე და უღროეო-დროს არ გაქრები.

ბ ი ბ ლ ი ო ბ რ ა შ ი ა

Свѣдѣнія о памятникѣхъ грузинской письменности А. А. Цагарели. Выпускъ первый. С. П. В. 1886. (ცნობები ქართულის მწერლობის სახსოვრების შესახებ ალ. ცაგარელის მიერ. პირველი წიგნი. სპ. 1886).

ქართულის მწერლობის ისტორია ჯერ არ დაწერილა და შეუძლებელიც არის მის დაწერა, ვიდრე თვით მწერლობის სახსოვრები თვითთა-თვითოდ გამოკვლეულები და გაშინჯულები არ იქნებოან. დღემდის კი არაუც თუ ჯერ არ გამოკვლეულან ეს სახსოვრები, არამედ ბევრნი მათგანი სახელწოდებითაც არ არიან ცნობილნი. იმის მიხედვით რაც აქამდის მომხდარა, შეიძლება ვთქვათ, რომ ქართულის მწერლობისა ჯერ ბევრი რამ არის დამარხული და მივიწყებული სხვა-და-სხვა მონასტრებში და კერძო სახლებში, სადაც მას შეუბრალებლად სქამს ჭია და ალაობს ნესტი. ქართულის მწერლობის ისტორიის დაწერა რა საფიქრებელია, როცა უმთავრესი საზრუნავი ის არის, რომ ჭიასა და ნესტს გამოვაცალოთ მწერლობის სახსოვრები და მოვათავსოთ კარგად შენახულს საცავებში. ამ სახსოვრების სახე-

ლებისა და შინაარსის გაგება პირველი ფეხის ვალადგმა იქნება მწერლობისა ისტორიისკენ.

ამ საუკუნეში ქართულის მწერლობის სახსოვრების შეკრების და შესწავლის საქმე ჰქონდა და აქვს ნაკისრი ორს დიდებულს დაწესებულებას: პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიას და პეტერბურგის უნივერსიტეტს, სადაც ამ 50 წლის წინად დაწესდნ ქართულის ენის კათედრები, რომელთაგან პირველი (აკადემიისა), საუბედუროდ, ეხლა ცაჩიელია. თუ ჩვენი მწერლობა რამოდენადმე გამოკვლეულა და შესწავლილა, ამ დაწესებულებათ უნდა ეუმადლიდეთ. ამ დაწესებულებათა მფარველობით ბევრი იღვაწეს ქართულის მწერლობის გამოსაკვლევად აკადემიკოსმა ბროსემ და პროფესორმა ჩუბინაშვილმა. დღეს ამავე საქმეს ადგია ერთად ერთი კაცი, პროფესორი ალ. ცაგარელი, რომელიც მართლა რომ ღირსეულად იცავეს ქართულის მწერლობის სახელს სხვა-და-სხვა უფიციის მსწავლეულების ცილისწამებისგან. სხვები რომ გაიძახიან (დიახ, გაიძახიან!) ქართული მწერლობა ყურადღების ღირსი არ არის თავის სიღარიბისა და არარაობის გამოეო, ის თვით სახსოვრების გარჩევით ამტკიცებს მის სიმდიდრეს და მნიშვნელობას. სამწუხარო მარტო ის არის, რომ ბ. ცაგარელი ერთად-ერთი კაცია, რომელიც ჩვენის ენისა და მწერლობის გამოკვლევას ემსახურება.

ბ. ცაგარლის ახალი წიგნი შეიცავს: 1, წინასიტყვაობას, 2, სასულიერო მწერლობის სახსოვრების ერთის ნაწილის გარჩევას, 3, ათონის ბიბლიოთეკის კატალოგს, მისგანვე შედგენილს 1883 წ., 4, იმავე ბიბლიოთეკის კატალოგს ვინმე ილარიონისგან შედგენილს ამ საუკუნის დასაწყისში, 5, ქებათა ქების უძველესს თარგმანს, რომელიც ძალიან განსხვავდება ეკლესიაში მიღებულიისგან, და 6, პალეოგრაფიულს კარტას, რომელიც გვიჩვენებს სხვა-და-სხვა დროს წერის ხელს.

გეგონია მკითხველისთვის საინტერესო იყოს შევატყობინოთ ცაგარელის წინასიტყვაობითგან საზოგადოდ ჩვენის მწერლობის სახსოვრების აზბავი.

ქართული წიგნები და სხვა მწერლობის სახსოვრები, როგორადაც სიგელები, გუჯრები, კედლისა, საფლავის ქვის და

ფულების წარწერები ძალიან ბევრია ესა და შეკრებილი სხვა-და-სხვა ბიბლიოთეკებში. წიგნების კარკა დიდი რიცხვი აწეცა პეტერბურგში სააკადემიო და საერო ბიბლიოთეკებში და თბილისში წერა-კითხვის საზოგადოების წიგნსაცავში. საკმაოდ ბლომად მოიპოვებოდნენ და ესეც მოიპოვებინ სინას, იერუსალიმის, ათონის და სხვა საქართველოს მონასტრების ბიბლიოთეკებში. რამდენიმე წიგნები ევროპის სხვა-და-სხვა ბიბლიოთეკებშიაც არიან გახეულები: პარისში, რომში, ეფესოში, ვენაში და სხ. სიგელები, გუჯრები და სხვა დოკუმენტები ძალიან ბევრია თბილისის და ქუთაისის საკუბერნიო გამგეობათა და საქართველოს სინოდის კანტორის არქივებში. ფულების წარწერები შეკრებილები არიან ბარათაევის წიგნში. კედლების წარწერათაგან ბევრნი არიან დაბეჭდილი აკადემიის ჟურნალებში და დ. ბაქრაძის თხზულებებში.

აი ამოდენა განძი გვაქვს და ჯერ კიდევ არ ვიცით მის ღირსება და შინაარსი. დღე და დღე უნდა მადლიერნი ვიყვნეთ ბ. ცაგარლისა, რომ შესდგომია ამ განძის შესწავლას და ჩვენთვისაც გაუზიარებია თავის შესწავლის ნაყოფი. ჩვენის მწერლობის სიმდიდრეს ის გარემოებაც გვიჩვენებს, რომ მარტო ამ უკანასკნელის 7-8 წლის განმავლობაში მას გაუცენია 1194 სახსოვარი, რომელთა შესწავლა და გარჩევა ვინ იცის რამდენს დროს მოითხოვს!

ქართულის მწერლობის სახსოვრები მომდინარეობენ მეხუთე საუკუნითგან ქ. ა., მეხუთე-მეექვსე საუკუნისა დარჩენილა რამდენიმე ფულის წარწერა; მეშვიდე საუკუნისა — მცხეთის ჯერის მონასტრის წარწერები და პაპირუსზე ნაწერი სადღესასწაულო და დავითნი; მეჩვიდმეტე საუკუნისა — პერგამენტზე ნაწერი სახარებები, დავითნები, კურთხევაეები და წმინდა მამათა ქმნილებანი. მეათე საუკუნითგან მეთორამეტის გასულამდე ქართული მწერლობა ძირიელ ვრცელდება და ეს დრო წარმოადგენს მის ოქროს ხანას. მეცამეტეთან მეჩვიდმეტემდე ის საშინლად ვცემა; ხოლო მეჩვიდმეტე და მეთრამეტე საუკუნეში ისევ ფეხს იდგავს და შესანიშნავადაც ვრცელდება.

პირველს ხანებში მწერლობას მოღვაწეობის ცენტრები

იყენენ საქართველოში ცამეტთ სირიელთ შამათაგან დაარსებულ
 ლი მონასტრები და მეფეთა და კათოლიკოზთ სასახლეები, სა-
 ქართველოს გარედ კი, პალესტინაში ლეთის-მშობლისა და
 იოანე ნათლის-მცემლის მონასტრები, საბას ლაზრა და მურვან
 მეფისგან მესუთე საუკუნეში დაარსებული სასტუმროები; სანა,
 ოლიმპი, კონსტანტინოპოლი, სირიის და ტრაპიზონის მონას-
 ტრები, უნდა შეენიშნოთ, რომ ყველა ეს მონასტრები ქართვე-
 ლებისგან იყენენ აშენებულნი და დაჭერილნი.

მეთე, მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეებში მწერლო-
 ბის გადიდებხა და გაეცვლებხათ მოღვაწეების ცენტრებიც
 გამრავლდნ. მაშინ გაიხ ქენენ ტბეთის, ხახულის, საფარის, ოპი-
 ზის, გელათის, მარტილის, იყალთოს და გრემის მონასტრები.
 საქართველოს გარედ აშაირადე გათქენენ ათონის იერიის
 მონასტერი, ალექსის ახლო სეგომონ მესეეტა და ღეთის მშობლას
 მონასტრები; მთაშაგის (სირიაში), წმ. ჯერისა (იერუსალიმში)
 და სხვა მონასტრები. მეცამეტეთგან მეჩვიდმეტე საუკუნემდე,
 როდესაც ქართული მწერლობა ძალიან მიყუჩდა, მარტო პა-
 ლესტინაში სწერდნ. მკვიდმეტე და მეთორმეტე საუკუნეებში,
 რომლებაც აღორძინების ხანად ითელებიან, უმთავრესად სა-
 ქართველოში და ცოტაოდნად რუსეთშიაც სწერდნ.

ამ ცამეტის საუკუნის განმავლობაში უმეტესად სასულიე-
 რო წიგნები უწერიათ და უთარგმნიათ. ეს ასეც უნდა ყოფი-
 ლიყო, როგორც ყველა განათლებულს ქვეყანაშიაც მომხდარა.
 დაბადებისა და სხვა ეკლესიაში სახმარის წიგნების გარდა უთარ-
 გმნიათ წმიდა მამათა ქმნილებანი: ოქროპირისა, იოანე ღეთის-
 მეტყველისა, ბასილ დიდისა, გრიგოლ ნისელისა, კირილე ალექ-
 სანდრიელისა, ეფრემ სირელისა და სხ. მრავალთა.

საეკლესიო და საღეთო მწერლობის სახსოვრების შემდეგ
 ჰირეელი ალაგი უქირავს პოეზიას. ქართულის პოეზიის აქვავე-
 ბის ხანად უნდა ჩაითვალნ მეთე, მეთერთმეტე და მეთორმე-
 ტე საუკუნეები. ბერმა შესანიშნავმა სახსოვარმა მოაწია ჩვე-
 ნამდი, როგორც ორიგინალმა ისე თარგმანმა. თარგმანთა შო-
 რის მოიპოვებინ ამისთანა გამოჩენილი თხზულებანი, როგორც:
 შამნამე, ანეარი-სოხაილი, ვის ორამინი და ილიასი.

პოეზიას მოასდევს საისტორიო მწერლობა, რომელსაც უცხოელები საბუთიანად სიღარიბეს უკიყინებენ. ქართლის ცხოვრება და წმინდათა ცხოვრებანი უმთავრესი საისტორიო ნაშთებია არიან, თუმცა არ ითქმის, რომ ისინი ერთადერთი ისტორიისთვის გამოსადეგი სახსოვრები იყვნენ. ნაკლს ავსებენ მრავალი გუჯრები, სიგელები და წარწერები. ცოტა არ მოაპოვება აგრეთვე უცხო ენით ნათარგმნი სახსოვრები. უთარგმნიათ: ჰეროდოტესი, პლუტარქოსი, ფლავიუსი, ტაციტუსი, კინტუს კურციუსი და ბერი სხვა.

შემდეგ უნდა მოვიხსენიოთ საფილოსოფიო, სამათემატიკო, სასამართლო, საგრამატიკო, საექიმო და სხვა სახსოვრები.

მწერლობის სახსოვრები ორ ნაირებად არიან: ხელნაწერი და ნაბეჭდი. ქართული სტამბა პირველად ევროპაში გაიმართა. რომში კათოლიკე სარწმუნოების გამაერთიანებელმა საზოგადოებამ ჩამოასხმევინა ქართული ასოები და დაბეჭდა 1626 წ. ქართული-იტალიური ლექსიკონი. იქ ქართული წიგნები გამუდმებით იბეჭდებოდნენ მთელის მკვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეების განმავლობაში. თვით საქართველოში კი პირველად სტამბა მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, 1709 წ. გაშართა მეფე ვახტანგ მეექვსემ, რომელმაც საეკლესიო წიგნების გარდა ვეფხვის ტყაოსანიც დაბეჭდა. სტამბა ვახტანგის შემდეგ რამდენისამეხნით მოიშალა, ვიდრე მეფე ირაკლიმ ახლად არ მოაწყო და არ გაცხოველა წიგნების ბეჭედა. წასულის საუკუნის გასულს დაარსდა სტამბა ქუთაისში, საჩხერეში და წესში. ვახტანგი რომ რუსეთს გადავიდა მისმა შვილებმა და დახლოებულმა პირებმა გაშართეს მოსკოვში სტამბა, სადაც სხვა წიგნების გარდა დაბეჭდაც დაბეჭდეს. მოსკოვს გარდა სტამბები გაშართეს გადახეწილმა ქართველებმა სხვა ქალაქებშიაც: პეტერბურგში, ნოვგოროდში, ვლადიმირში, მოზდოკში და კრემენჩუგში. ევროპაშიაც რომის გარდა სხვა ქალაქებშიც დაარსდნ სტამბები: კონსტანტინებოლში, ვენეციაში და მონთიბანში.

ამ ნაირად ქართულის მწერლობის სახსოვრები გაფანტულები არიან სხვა-და-სხვა ალაგას, ჯერ თითქმის ხელშეუხებლები და გაუშინჯაულები. სამკუთარ ბერია, მაგრამ მუშები ძალიან

ცოტანი არიან, ანუ უკეთ, ერთად-ერთი კაცია და ეს კაციც ბ.
ცაგარელია, პეტერბურგის უნივერსიტეტში ქა-თულის ენის პ-ო-
ფესორი.

აპრილის 24.

დ. დეკანოზიძე.

ერთგან ხალხის ყრილობაში
მეც დავესწარ რაღაც ქაჯათ,
ბასობდნენ ქათმის მტერი
ძერა როგორ დაესაჯათ.

ჯერა სთქვეს თუ სულ გავსწყვიტ-ათ
დედა ბუდით წიწილი-ა
და როდესაც ვერას შესქამს
სულს ამოხდის შიმშილი-ა.

წოგიერთებს არ იამათ
და სთქვეს მათაც თაფიანთი
და ერთ კითხვას ზედ დაერთო
პასუხები ბა-ე ათი.

გადასწყვიტეს არმის ბუდეს
მიეყაროთ ლოდი, ქეაო
ანაც ხიდი მიესცეთ წყალსა
ძერა ვერსით გამოვგაო.

ყველამ ერთხმად აღვიარა
სჯობს დაიქცეს ისევე ხიდი;
გამოსვლას ვერ გამოზბედავს
რაღვან წყალიც არის ღიდი.

მისცივიდნენ ხილს ფაცი-ფუტით
ყველა ებრძვის, ყველა წვალობს,

მაგრამ შახეთ ძერას ცაში
რა ამაყად დასრიალობს.

მე ასეთმა საქციელმა
საშინელად გამაოცა
ნეტა ძერას რას აენებდა
ხიდის ქცევა, წიწილთ ხოცა?!

ზ.

ხალხური ლექსები

სოფელ კულობოში შეკრებილი ღიზა ჩერქეზიშვილის მიერ.

ასე გონია რეგვენ კაცს
კაცის სიკვდილი რა არის;
ასეა კაცის სიკვდილი,
როგორც ყაპისთეის თხა არი.
კაცის მკვლელს რაღა აცხონებს,
იქ ჯოჯოხეთი მზა არის,
მოსამართლე დაიბარებს
მაინც ციმბირი მზა არის;
ეოლიცა ოხრათ დარჩება
იმის პატრონი სხვა არი.

ნეტავი იმის დედასა,
ვისაცა ჰქაეს კარგი ეოლი;
ისე ვაჟა სოფელშია,
ვერვინა სჯობს თავის ტალი.
ეოლი ამას ეუბნება
ვინ გჯობიან შენი სწორი,
უხეირო დედაკაცსა
ხო სჯობიან ნეზვი ღორი.

ასე დაწეება ნაგაეში,
 რაგორც მენახშირის ჯორი;
 ნაგაეი კარზე ვერ გააქეს,
 მურდალია ოჯახ-ქორი,
 კაცსა იმის ჩიჩინითა
 თაეში აღარა აქეს გონი.

ქალი სამხედრო ტანისამოსში

ანუ

პრიკაშიკის დუელი,

კოდეკელი ერთს მოქმედებად, გადმოკეთებული.

მომქმედნი პირნი:

სიმონ ჭინჭარაძე, სამხედრო კაცი — კაპიტანი.
 გეურქ კოლოპურტოვი, ძველი მასწავლებელი.
 ავეტიქ ზანრუმარეანცი, ასალგაზდა პრიკაშიკი.
 ნინო, ობოლი ქალი.
 დიონა, გეურქას ძმის-წული.

მოქმედება სწარმოეს ტუილისში.

სცენა წარმოადგენს გეურქ კოლოპურტოვის სახლს: სიღრმეში შუა-კარებია —
 გაღებული, საიდგანაც ბაღია მოსჩანს. მარცხნივ ბუნარი და კარებია, მარჯვნივ
 თანჯარა და საწერი სტოლი. აგან-სცენაზედ დიდი სარკეა.

გ ა მ ო ს გ ლ ა 1

დიონა, შეძეკვ ავეტიქ ზანრუმარეანცი

დიონა. (სარკის წინა სდგას და თავს იკეთებს) მგონი, ესე კარგი
 იქნება. ერთი კარდიც მარცხნივ, მარჯვენა კაცსაც ცოტა ჩამოვი-
 კარცხნი და გათავდა.

ავეტიქა. ვას, მადამ ლიზკა! ძლივს არ დაგიჭირე! მაგრამ რა არის, მამა ცხონებული, სულ სარკის წინ უნდა გველურებდე?

ლიზა. ას, ღმერთო ჩემო! რა არის მერე! დღეს სტუმრებს მოველით.

ავეტიქა. მერე ახალგაზრდები სომ არ იქნებიან?

ლიზა. თუ გინდა ახალგაზრდებიც იყვნენ—რა არის? დაიწყოთ იჭვიანობა?

ავეტიქა. გაცხ უნდა ჩემი მოთმინება ჰქონდეს, რომ თქვენ უყვარდეთ, ე. ი. სომისი მოთმინება უნდა ჰქონდეს. იცი რა გითხრა, სულთჴან: შენ ძალიან სუბუჩი და ქარიანი ხარ, მაგრამ სამცაეუროდ შენი ბიძა ისეთი სქელი და მძიმეა, რომ ორმოცი ფუთი გამოკა. ნამდვილი ბარდანაა, აი, შეიდანზედ რომ ჩამოაჭოთ სოღმე. მაგ და-ლოცვილს კერაფრით ვერ გადაუწევეტია! რამდენჯერაც დაუწეუბ ჩვენ ქორწინებაზედ ლაშარაკს, სულ იმას გაიძახის, რომ: ვხახვთო, საჭმეს დავატყობთო...

ლიზა. მართალს ამბობ, კერე იცის სოღმე.

ავეტიქა. და რადგანაც ის კერაფრს ვერა შედავს და კერს რამე საჭმეს დაატეო, მე მგონია, რომ ჩვენს ქორწილი მერე წარ-ღვის მოსვლის დროს იქნება.

ლიზა. ახლა მე რა გქნა?

ავეტიქა. ვა, ტერ-არჭნაწ, როგორ თუ რა ქნა? ჩაგონე, უთხარი და... დროა-თქო, მე გათხოვება მინდა-თქო...

ლიზა. გაჩუმიდით, თუ ღმერთი გწამსთ, აკერ თათონაც მო-ღის.

გ ა მ ო ს ჯ დ ა 2

იგინივე და გეურქ გოდოპურტოვი

გეურქა. (შეშინებული დაფიქრებული) რამდენსაც ბეკრსა ვფიქრობ, იმდენი უფრო ვერა მომისერსება. რა ვუყო? როგორ მოვახერხებ?

ავეტიქა. ო, ზარუნ გეურქას გაუძარჯოს! როგორა ბრძან-ღებით?

გეურქა. აა, შენა ხარ? რისთვის მობრძანებულხარ?

ავეტიკა. სულ კიდევ იმისთვის, ზანაშაჰან, მე მოკვდი, რომ გეითხო...
გეურტა. კარგი, კარგი! მასკან მოვილანარაგებთ მაგასუდ.

ავეტიკა. ვა! დალოცვილო, მე-გი მოთმინებოდამ გამოკვეერი-
 და. მამასემს უნდა მალე შევიერთო ცოლი, და მამა ჩემი-გი, სუმი-
 რობა არ არის, შირველი პანახია მთელს პანახანანაში ჭჭ, გდა-
 სწვიტი...

გეურტა. კარგი, განსავთ...

ავეტიკა. ტერ-ასტუაწი! აქ სანასავი რა არის? ჭო, ჭო, ზანა-
 შაჰან! მდამ ლიზა, სომ იცით, ხედავთ დღეს რა ნაირად მოხრან-
 ჭულა და შექმნულა? ერთიც განსოთ, სხვა ვინმე მოიწონოს, და
 მე? უცოლოდ დავრჩე?!
ლიზა. ოჭ, დმერთო! თავი მომაბურს თავისის იჭვიანობით.

ავეტიკა. ეჭარვე, მართლს ვამბობი.. და მგის გარდაც, ეს
 ჭორწილი რომ იქნას—ჩემი სანქები კარგად წავა. ცოლი შეერთეო,
 მამასემს მითხრა, და დუქანს შენ სანულსუდ გაკვეთებ ნოტაროუ-
 სითაო, ნსტარ უ არუტურ არაო!

გეურტა. რატომა, რატომა! შენ კარგად ივარტებ—არითმი-
 ტიკა სომ იცი?

ავეტიკა. აი, ეშმაკმა წაიღოს ეგ თქვენი მხმეტოკა, აჭა! რა
 თავში ვისლი ეგ რაღაც ოხრობას, თუ-გი არ გინდა, რომ ლიზა
 ჩემი ცოლი იყო...

გეურტა. მას კარგი, ერთი სათხოვარი მაქვს და ამისრულე.

ავეტიკა. ვა, ბძანე, რა სათხოვარიც გაქვს, სულ ყველაფერს
 აგისრულებ.

გეურტა. ადგი და ჯანდაბას წადი.

ავეტიკა. (გავვირუებით) რაო, ჯანდაბასაო! მას, რახან აგრე,
 არ წაყალ!

გეურტა. როგორ გაბედა ჩემი ურჩობა? დაიკარგე აჭედან.

ლიზა. ნუ ჯავრდებით, ბიძახემო, სომ ჭხედავთ, რომ სიუჟა-
 რულისაგან გამოსულელებულია და თითონაც არ ესმის რას ამბობს.

გეურტა. დაიკარგე-მეთქი! თვლით ნულარ დამხანსკები.

ავეტიკა. ვა! რად დაიკარგო! არა, არ დაიკარგები.

ლიზა. თუ ღმერთი გწამთ, წადით; თქვენ უარესად აცხარებთ.

ავეტია. კარგი, მე წავალ! მაგრამ კიდევ მოკვალ... მალე .. დღესვე... (ბურქას) და მასინ-კი სწორედ უნდა მითხროთ: ან ჭო და ან არა. მშვიდობით! (მივა ლიზასთან, ხელს არომევეს და ჩუმად ელაპარაკება და ეღრიჭება.)

ბეურქა. (ფეხებს დაუბრახუნებს) დაიკარგე-მეთქი! არ გესმის?

ავეტია. (შეშინებით) კა, მიკდივარ, მიკდივარ! (ყარებოდან) მაგრამ კიდევ მოკვალ...

გ ა მ ე ს ე ლ ა ვ

გიგინივე, ავეტიქას გარდა

ბეურქა. ძლივს არ წავიდა!.. ბაზაზხანის ვირი! ჭკვა ამო-რია!.. სულელი! თავისის უბედობით ფიქრები დამიბნია და სულ დამკვიწყა ისე კარგად მოგონილი ჰქონდა... ესლა-კი თავიდან უნდა დაეიწყო. აბა, ლიზა! კაპიტანისთვის ოთახი მოამზადე.

ლიზა. დიას, ბიძაჩემო, ფანჩატურში გაკუშალე ლოგინი.

ბეურქა. ცულები ნინო კი ჟურ კიდევ არა სჩანს?

ლიზა. რა მოუთმენელობაა, ბიძაჩემო! სომ იცით, რომ ის სოფელი, სადაც ნინოა, ახლო არ არის.

ბეურქა. ახლო არ არის! კიდევ მაგისტრის გაკვანე ოთხ ცხენიანი კალასკა, რომ ჩქარა მოსულაიყო.

ლიზა. რა დიდი უბედურებაა, თუ ცოტა დაიგვიანა?

ბეურქა. მადლობელი გახლავართ. კაპიტანი? კაპიტანს აღარ იკითხავ? შენ იმას ნუ ესუძრები. უჰ! რა ფიცხი გაცია.

ლიზა. თქვენს ადგილას მე სრულს ჭეშმარიტებას კეტუდი.

ბეურქა. არა, სჩანს, შენ დაწვრილებით არ იცი ეს ამბავი. აი, უფრო დამიგდე: ამ ათის წლის წინად მე მჭონდა ჰანსიონი კეთილშობილ გუთათვის. ჩემს ჰანსიონს დიდი, უშველებელი ვიჟსკა კერა, დიდრონის ასობით ნაწერი, ასე რომ ერთის კერსის სიმორიდგანაც-კი წაიკითხებოდა. ერთხელ, ეს იყო 1871 წელს, გიორგობისთვეში, მე ის იყო დაწოლას ვაპირებდი—შუა-ღამე იყო,

ერთბამად შემომესმა ალაყაფის კარის ისეთი ბრახუნი, რომ ყურებმა წივილი დამიწყო. ვუბანე კარების ცალებს, საღათი ჩავიცვია, მწვანე სათვალეები გავიკეთე, ხელში წვეზლები ავიღე და ვუთქრობ: ერთ-ერთი ჩემი ცრულეუტათაგანი სიამ არ არის, დაიცა მე იმას ვუჩქნებ მეთქი. უცნაურ გავილო კარები და ჩემს წინ გახნდა გუსარის კაპიტანი, ტალახისა და მტკვრში ამოგანგლეულიყო, ოფელი სახესუდ წურწურითა სდიოდა, უღვასები-კი აი რამოდენები ჰქონდა. თან მოუყვანია შატარა, ესე ეჭვისის წლის ბიჭი და ცხარის ცრემლით ატირებს. «შენია ეს შანსიონი?» დაიღრიალა ჩემმა დათუმა.—მე... დახს... — ჩუმიად! განაგრძო იმან. მეც არ გეწინააღმდეგე და გავერუდი. — „აი შენ ეს ბიჭი, და ისე უნდა გამიწურთნო, რომ ყველაფერი იცოდეს: ხატვაც, წერაც, კითხვაც, სმლის ხმარებაც, არშეიოზაც, რომ ყველა შესწავლო, თორემ თოფი-ტუფი-ხარბაზანი! სახამთროსავით გაგისეთქამ მაც სწავლულს გოგონას“. აჰ იმან ისე მაცრა დაჰჭრა იატაკს თავისი ხმალი, რომ სახლმა სულ ხანხარი დაიწყო, მუკი შიშისაგან გაეშეშა, აკვანკალდა...

ლიზა. და მაშინათვე დათანხმდით ბავშვის აყვანასუდ.

გეურქა. მაშ რა მექნა, რომ არ დაუთანხმებუდიყავ?

ლიზა. კალასკა შემოვიდა ეზოში .. ეს ნინოა... ახ! რა მისარანი!

გეურქა. ძლივს!

გ ა მ ო ს გ ლ ა 4

ივინივე და ნინო, ობოლი ქალი

ნინო. გამარჯობათ, ჩემო ძველო მეგობარო! ოჰ, საყვარელო ღიზს, როგორ გაღამაზებულხარ?! (კოცნის ღიზს) მის შემდეგ აღარ გვინახავს ერთმანეთი, რაც შენ შანსიონიადმი გამოხვედი. სხვა, მითხარი ერთა და, როგორა ხარ? როგორ დროებს ატარებ!..

გეურქა. დაიცადეთ ერთა, თუ ღმერთი გეწამს, ალერსის დრო არ არის: საქმესუდ ვილანარაკოთ, საქმესუდ.

ნინო. რომელ საქმესუდ? ჰო, სულ არ დამეაწყო, დეგება-რებიანთ, რომ რაღაც საქმე გაქვს! რა ამზავია?

გეურქა. კაპიტანი სიმონ ჭინჭარაძე მოსულა.

ნინო. როგორ! მართლა? ღმერთო ჩემო! რა მისხრანს.

გეურქა. სასისხარულა-გი არა—სატირელია.

ნინო. რაღა, განა ღამისი არ არის?

გეურქა. რა შეღამაზება, მე იმას ვივი, როგორ გადაურჩე-ბი კხლას?

ნინო. უჭ, მადლობა ღმერთს! მე კი ის ვიფიქრე, რომ განჯეგებულა და დაბურბულა-მეთქი... მაგრამ მოიცა!.. სწორეთ! სწორეთ! ის არის!.. მე ისა ვნახე.

გეურქა. სად? როდის?

ნინო. დღეს დილას აქედან ხუთის კერსის სიმორეზე ჩვენ სიღზე გამოკვიდით და იმ დროს დაუინახე მსუდარი ცხენით... ჩვენის კალიასკის ბრახა-ბრუსუდ იმისა ცხენი შემინდა, შეფრთხა, ორს ფეხზე შედგა და ის-გი ჩამოვარდა... მე შიშით შეუვირე, მაგრამ იმან ხელი დამიჭინა—დამშვიდდით, არა დამიშვდა-რაო... და ეს იყო სიმონი.

გეურქა. სწორეთ იცანია?

ნინო. იმ წუთასვე! იმან გადამარჩინა საკვიდოს, რომელსაც მე ყოველ ნაბიჯზე მოკვლობდი. ოო, ეს მე ჩემს დღეში არ დამაკვირდება და იმისა სახე ღრმად არის ჩაბეჭდილი ჩემს გულში.

გეურქა. უბედურებაა, უბედურება!

ფიზა. რა უბედურებაა, ბიძაჩემო?

გეურქა. წინ გამოუსტუმრებია თავისა მსახური სემოდანია და, აი, ამ წიგნით.

ნინო. ახ, წაიკითხეთ, ჩქარა წაიკითხეთ! რასა გწერთ?

გეურქა. მართლა, აგი არ დამაკვირდა, წაიკითხოთ ერთი რასა გვწერს. (საფაღეებს გაიკეთებს და კითხულობს) «ჭუთასია. 1883 წელს, მარიამობისთვის 10-ს. ჩემო საუვარელო გურქო კოლოპურტოვი! გატყობინებთ, რომ მე დაბრუნდი სამშობლოში ოსმალეთიდან, სადაც 1880 წლიდან ტყვეთ ვიყავი...»

ნინო. საბრალო! კინ იცის როგორ დაიტანჯა სსკათა ქუყანაში.

გეურქა. დაიცა ერთი! რა დროს სსკათა ქუყანას! (განაგრძობს)

«მე თქვენ ამას აღაღ-ბედსკვდა გწერთ, ნამდვილად არ ვიცი, ხომ არ მივიწვიათ ღმერთმა თავისთან. აღბად გასსოკს ჩემი დარბევა, როდესაც ბავშვს გაბარებდი, ჩემგან დასსნილს. ის არის ესლა მთელი ჩემი იმედი და ნუგეში; ის ისე მიყვარს, როგორც ჩემი ნამდვილი შვილი. ესლა, მგონია, გაჟვანი უნდა იყოს».

ნინო. როგორ თუ გაჟვანი! კვ რას ნიშნავს?

გურუტა. აი, უბედურებას ამბია. როდესაც იმან დაგობსნა, შენ ბავშვის ტანისამოსში იუჟ და შარვალი გეცვა. იმან შენი კურა გაიგორა და ამიტომაც ასე წაღმა-უგულმა გამოვიდა სანქში.

ნინო. მერე და კურ ხუნსნიდით?

გურუტა. საიდგან აუხსნიდი, რომ მას შემდეგ თვალთაც არ მინახავს.

ნინო. მიწერ-მოწერა ხომ გქონდათ?

გურუტა. გქონდა, ესე იგი ის იწერებოდა და ფულსა გცხვნიდა, და მე-კი კურა ვწერდი, რადგანაც ომის დროს სშირად და სწრაფად იცვლიდნენ აღაგს.

ნინო. ახ, ღმერთო ჩემო! მასე ესლა რა კქნათ, ჭი? ის აღბად არ მოელის ამ გვარს ცვლილებას და... ეწინება...

გურუტა. მე მგონია... და ძალიანაც მეშინია! თუ ერთი ასტყდა, ღმერთმა დაიფაროს... იმას ჭგონია, რომ მოვა აქა და ნახავს (კაბიტან აფარებს) ასაღვანდა უმწველ-კაცს, რომელმაც სძლის ხმარებას იცის და არმეობაც. მუნდირიც გამოეგზავნია შენთვის.

ნინო. მუნდირი? ჩემთვის! რადა?

გურუტა. მდა, რომ გუსარის ზოლკში ჩაურინცხვისარ, და რას იტყვის, როცა შეიტყობს, რომ იმისი კაჟი ქალების ჰანსიონში მიმიცია.

ნინო. ხომ უნდა აუხსნათ?

გურუტა. რასაკვირველია... და მე ვფიქრობ, რომ შენ... შენ ისეთი მარდი და ჭკვიანი ხარ, რომ...

ნინო. რასა ბრძანებთ, რასა ბრძანებთ? მერე რომ გაცხარდეს და სრულებით თავი დამანებოს, ხომ მოკვდი მამინ?

გურუტა. კვამ მართალია... მასე აი რა... ჩემი ღიზს სავამ-რისად ჭკვიანი და მოხერხებულა, ამას შეუძლიან...



ფრიზა. ოჰ, არა, ბიძახეო, ვთხოვთ გაცანთავისუფლოთ.
ნინო თქვენ მივიღათ და თქვენვე გავეით ზასუსი...

ნინო. მეც მაგ აზრისა ვარ, რომ სჯობია, თქვენ თითონ...

გუურტა. კარგი, კარგი! ვნასვთ, საშქეს დაკატეობთ!

ნინო. (ფანჯარასთან მიიზრუნს) აგერ ისიც! ოჰ, რა მისაზრანი!
შესეთ, შესეთ, როგორ მარჯვეთ გადმოსტა ცხენიდან.

გუურტა. ღმერთო! ღმერთო! შენ დამისვენ ამ საშენელის
კაპიტანისაგან.

ფრიზა. წავიდეთ, ნინო, დეე, მარტო ვერ ბიძამ ჰნასოს კა-
პიტანი. (გაღიან)

გ ა მ ო ს გ ლ ა ნ

გუურტა (მარტო)

გუურტა. ეჰ!.. გადასწყდა!.. რაც მოხდება—მოხდეს! შეუძლე-
ბელი-ღას დაფარვა. ოო, ჭკუეუ და გაბედულებავ, ნუ დამტოვებთ ამ
საშინელს წუთს.

(შემდეგი იქნება)

რედაქტორი და გამომცემელი ალ. ნიზინიძე.

გ ა ნ ც ს ა დ ე ბ ა

სტენები „მიროლი სუდასთან“ — დავით ხოლანისა დაიბეჭდა
ცალკე წიგნებად და ისეიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზო-
გადოების“ წიგნთ საწეობში და ბნი ჩარკვიანის წიგნის ძალაზიაში.
პიესა ღირს 13 კაპ. კაზ. „თეატრის“ ხეღის მომწერთ და-
ეთმობათ ორ მათურად. ჰალაქ გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ ღი-
რებული ფასი მარკებით გამოგზავნონ.